

## დანართი 1.

### ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ნიშნის (ე. წ. GPA-ს)

#### დაანგარიშების წესი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ნიშნის (ე. წ. GPA-ს) დაანგარიშება მოხდეს შემდეგი წესის მიხედვით:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2009 წლამდე კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ნიშნის (ე. წ. GPA (grade point average)-ს) დაანგარიშებას ახდენს თსუ სასწავლო დეპარტამენტი კურსდამთავრებულის პირადი განცხადების საფუძველზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს კურსდამთავრებულის დიპლომისა და დიპლომის დანართის ასლები.

2. თსუ-ს კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ნიშნის დასაანგარიშებლად თავდაპირველად ხდება სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებების შესაბამისობის დადგენა GPA-სთან ქვემოთ წარმოდგენილი პრინციპით:

შეფასების 100 ქულიანი სისტემის შემთხვევაში:

| შეფასება | ქულობრივი<br>მაჩვენებელი | GPA |
|----------|--------------------------|-----|
| <b>A</b> | 91 - 100                 | 4.0 |
| <b>B</b> | 81 – 90                  | 3.0 |
| <b>C</b> | 71 – 80                  | 2.0 |
| <b>D</b> | 61 – 70                  | 1.0 |

|               |         |     |
|---------------|---------|-----|
|               |         |     |
| <b>E</b>      | 51 - 60 | 0.5 |
| <b>F – FX</b> | 0 - 50  | 0.0 |

შეფასების 5 ქულიანი სისტემის შემთხვევაში:

| შეფასება | ქულობრივი<br>მაჩვენებელი | GPA |
|----------|--------------------------|-----|
| <b>A</b> | 5                        | 4.0 |
| <b>B</b> | 4                        | 2.5 |
| <b>C</b> | 3                        | 1.0 |
| <b>D</b> | 2                        | 0   |
| <b>E</b> | 1                        | 0   |

3. თსუ–ს კურსდამთავრებულის დიპლომის საშუალო ნიშნის (GPA) დაანგარიშების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში სწავლების შესაბამის საფეხურზე მიღებული ყველა შეფასება.

4. თსუ–ს კურსდამთავრებულის დიპლომის საშუალო ნიშნის (GPA) დაანგარიშება ხდება დიპლომის დანართში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შემდეგი წესის მიხედვით: ა) სტუდენტის მიერ თითოეულ სასწავლო კურსში მიღებული შეფასების საშუალო ქულა (GPA) მრავლდება ამ კურსის კრედიტების რაოდენობაზე; ბ) ამგვარად მიღებულ ნამრავლთა ჯამი იყოფა ყველა სასწავლო კურსის კრედიტების საერთო რაოდენობაზე; გ) მიღებული სიდიდე წარმოადგენს დიპლომის საშუალო ქულას (GPA).

5. დიპლომის საშუალო ნიშნის (GPA) დაანგარიშებისას არ უნდა იქნას გათვალისწინებული „ჩათვლები“ ანუ ის შეფასებები, რომლებსაც არ აქვს ქულობრივი მაჩვენებელი.

6. თსუ–ის იმ კურსდამთავრებულთათვის, რომლებმაც სწავლა დაასრულეს უნივერსიტეტში ECTS კრედიტების სისტემის დანერგვამდე, ანუ 2005–2006 სასწავლო წლამდე, კრედიტების დაანგარიშება მოხდეს პირობითად, შემდეგი სისტემის მიხედვით: თითოეული სასწავლო კურსის საკონტაქტო

საათებს დაემატოს დამოუკიდებელი მუშაობის საათები (საკონტაქტო საათების გამრავლებით შესაბამის კოეფიციენტზე (მაგალითად, 2–ზე ან სხვა რიცხვზე) სასწავლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით), ხოლო საათების მიღებული რაოდენობა გაიყოს 25–ზე, ანუ 1 კრედიტის საათების რაოდენობაზე. მოხდეს აღნიშნული წესით დაანგარიშებული არამთელი კრედიტების დამრგვალება. **თუ აღნიშნული წესის მიხედვით დაანგარიშებული კრედიტების რაოდენობა ბევრად ნაკლები ან მეტია სწავლების შესაბამისი საფეხურისათვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობაზე, კრედიტების რაოდენობის დადგენა მოხდეს სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ.**

7. 2009 წლიდან თსუ–ს თითოეული კურსდამთავრებულის დიპლომის საშუალო ქულა (GPA) მიეთითოს დიპლომის დანართში.